P.S.

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

როგორ გადააქციეს პარკირება ქუთაისში „ბივშტექსად“

აქვს თუ არა პირადი ინტერესი პარკირების მოსაკრებელში ქუთაისის მერს და რა კავშირშია ის ორჯერ ჩაშლილ აუქციონთან?

იხილეთ მე-2 გვერდზე

№5 (732) 4 - 17 მაისი, 2015 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი | PSnews.ge

კლასტელინიდან პრეზიდენტამდე

რიგგარეშე არჩევნების ზღვარზე...

დიდი ამბებია საყველიეში, დიდი! — უთუოდ ეს პერიფრაზი გაგახსენდებათ „დათა თუთაშხიადან“, საქართველოში დღეს შექმნილ სამთავრობო კრიზისთან დაკავშირებით.

მას შემდეგ, რაც მეშვიდე მინისტრი თანამდებობიდან გადადგა, მთავრობის ნდობის საკითხი პარლამენტმა უნდა განიხილოს. კონსტიტუციით, ახალი მთავრობა პრეზიდენტმა 7 დღეში უნდა წარუდგინოს პარლამენტს.

თუმცა, იმ მოტივით, რომ სამინისტროების მუშაობა არ შეფერხებული-ყო, ირაკლი ღარიბაშვილმა, ფაქტობრივად, ერთ დღეში წარუდგინა ახალი მთავრობის სია პრეზიდენტს, რათა დაჩქარებული წესით, იმავე დღეს გადაეცა პარლამენტისთვის.

ირაკლი ღარიბაშვილმა მთავრობის ახალი შემადგენლობა ბრიფინგზე დაასახელა. მინისტრთა კაბინეტში სამი ახალი მინისტრი იქნება. კერძოდ, თავდაცვის მინისტრი — თინა ხიდაშელი, გარემოს დაცვის მინისტრი — გიგლა აგულაშვილი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი — ტარიელ ხეჩიკაშვილი.

რაც შეეხება კაბინეტის დანარჩენ წევრებს, მათი შემადგენლობა უცვლელია: ეკონომიკის სამინისტრო — გიორგი კვირიკაშვილი, ენერგეტიკის სამინისტრო — კახა კალაძე, ჯანდაცვის სამინისტრო — დავით სერგეენკო, დევნილთა სამინისტრო — სოზარ სუბარი, განათლება — თამარ სანიკიძე, სოფლის მეურნეობა — ოთარ დანელია, რეგიონული განვითარება და ინფრასტრუქტურა — ნოდარ ჯავახიშვილი, ფინანსთა სამინისტრო — ნოდარ ხადური, კულტურის სამინისტრო — მიხეილ გიორგაძე, საგარეო საქმეთა სამინისტრო — თამარ ბერუჩაშვილი, იუსტიციის სამინისტრო — თეა წულუკიანი, შინაგან საქმეთა სამინისტრო — ვახტანგ გომელაური, სასჯელაღსრულების სამინისტრო — გიორგი მღებრიშვილი.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

წარმატებული სკოლა ქალაქის გარეუბნიდან

იხილეთ მე-6 გვერდზე

ლარი „გაიქცა“

ერთი დოლარი უკვე 2.3327 ლარი ღირს

იხილეთ მე-2 გვერდზე

C ჰეპატიტის პროგრამაში ჩასართავად რეგისტრაცია დაიწყო

იხილეთ მე-4 გვერდზე

20 ივნისამდე ახალი ტიპის პირადობის მოწმობის აღება უფასო იქნება

იხილეთ მე-2 გვერდზე

აზერბაიჯანში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შეტანა 7 წლამდე პატიმრობით დაისჯება

იხილეთ მე-5 გვერდზე

განსხვავებული შესაძლებლობები მეგობრობას ხელს არ უშლის...

იხილეთ მე-7 გვერდზე

საჰარაში ქალაქი-ცათამბჯენი აშენდება

იხილეთ მე-4 გვერდზე

სომელიეთა ასოციაციის საქველმოქმედო გამოფენა „ღვინის საღდგომო დღესასწაული“

იხილეთ მე-7 გვერდზე

სურსათის მოხმარებისას დაზარალდით?..

იხილეთ მე-3 გვერდზე

სამი ყველაზე რთული კითხვა გასაუბრების დროს

იხილეთ მე-3 გვერდზე

PSnews.ge

ISSN 1987-7056

ლარი „გაიქცა"

ერთი დოლარი უკვე 2.3327 ლარი ღირს

ლარის კურსი მკვეთრ დაცემას განაგრძობს.
გასული კვირის ბოლოს დადგენილი კურსის თანახმად, ეროვნული ვალუტა 0.0234 პუნქტით გაუფასურდა და 2.3327 პუნქტზე დაფიქსირდა.
მთელი 0.0682 პუნქტით გაუფასურდა საქართველოს ეროვნული ვალუტა ევროს მიმართ და ოფიციალური კურსით, ერთი ევრო 2.6089 ლარი ეღირება.
ლარის კურსთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ვიცე-პრემიერმა და ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, რომლის შეფასებით, ყველა ფუნდამენტური საფუძველი არსებობს იმისთვის, რომ ეროვნული ვალუტის გამყარება დაიწყოს.
„ყველა საფუძველი არსებობს იმის ვარაუდისთვის, რომ სერიოზულ ცვლილებებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, პირიქით, ზაფხულის პერიოდში აუცილებლად მოხდება სავალუტო რესურსის მეტი შემოდინება, ასევე წინასაპრივატიზაციო მომზადების პროცესი დასრულებულია და ბევრი ობიექტი გავა გასაყიდად.
სწორედ ამიტომ არანაირი საფუძველი არ არის იმის, რომ იყოს სერიოზული გაუფასურება. მინდა ყველა დავამშვიდო ამ მიმართულებით," — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.
ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით კი, დღესაც აქვს ეჭვი, რომ ეროვნული ბანკი არაადეკვატურად იქცევა.

commersant.ge



მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

— ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ა. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

პლასტელინიდან პრეზიდენტამდე

რიგგარეშე არჩევნების ზღვარზე...

პირველი გვერდიდან

ასევე ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტზე გააგრძელებს მუშაობას დავით ბაქრაძე, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობაზე — პაატა ზაქარეიშვილი, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პოსტზე კი ისევ გელა დუმბაძეა წარდგენილი.

ამ წარდგენისთანავე სოციალურ ქსელში ასეთი სტატუსი გაჩნდა: „ახლა გამოჩნდება, მარგველაშვილი მართლა პრეზიდენტია, თუ პლასტელინი".

საქართველოს პრეზიდენტმა პარლამენტში მთავრობის წარდგენა ერთი კვირით გადადო, რითაც თავისი კონსტიტუციური უფლება გამოიყენა, ხოლო საზოგადოების თვალში დაამტკიცა, რომ პლასტელინი არ არის. გიორგი მარგველაშვილმა თავისი გადაწყვეტილება ასე ახსნა: „მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ მთავრობა ფორსმაჟორის რეჟიმში მუშაობს. მე, როგორც ქვეყნის უმაღლესმა მთავარსარდალმა მინდა დავსვა შემდეგი კითხვა: რა სიხშირით უნდა ვცვლიდეთ თავდაცვის მინისტრებს? ამ რთული ვითარების ფონზე მე მინდა, მივცე საშუალება როგორც პრემიერ-მინისტრს, ისევე პარლამენტს, რომ მშვიდ გარემოში განახორციელონ კონსულტაციები და ჩამოყალიბდნენ მთავრობის შემადგენლობის თაობაზე. ამ შემთხვევაში მე ვიყენებ კონსტიტუციით ჩემთვის მონიჭებულ ერთადერთ უფლებას და ერთი კვირით გადავდებ ხელმოწერას," — განაცხადა პრეზიდენტმა.

სოციალურ ქსელში კვლავ აქტიურად გამოეხმაურნენ პრეზიდენტის უარს ირაკლი ღარიბაშვილის მიმართ და მომღიმარ „სმაილიკებთან" ერთად ასეთი სტატუსიც გავრცელდა — „ღარიბაშვილი ბჭობდა, მარგველაშვილი იცინოდაო". ისიც ითქვა, პრემიერმა ქუთაისში, პარლამენტში დასამტკიცებლად გაგზავნილი მთავრობა რიკოთიდან მოაბრუნაო. აქვე მრჩეველები გამოუჩნდნენ ბიძინა ივანიშვილსაც: ახლა კი დროა, ბიძომ დუდუს დაურეკოსო... (დუდუ ხომ გახსოვთ, ყოვლისშემძლეა „ჩემი ცოლის დაქალებიდან").

მოკლედ, როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, პატივი უნდა ვცეთ პრეზიდენტის გადაწყვეტილებას და დაველოდოთ პრეზიდენტის მიერ ახალი მთავრობის წარდგენას.

გიორგი მარგველაშვილი

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ასეთ შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტს ერთი კვირის ვადაში წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას ნდობის მისაღებად. თავის მხრივ, პრეზიდენტისთვის პრემიერის კანდიდატურა წარდგენილი უნდა იყოს უმრავლესობის მიერ (არჩევნებში საუკეთესო შედეგის მქონე საარჩევნო სუბიექტის მიერ), ხოლო მინისტრობის კანდიდატურები — პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის მიერ, რაც ამ ერთი კვირის ვადაში უნდა მოესწროს. საქართველოს პარლამენტი მთავრობის შემადგენლობის წარდგენიდან შვიდი დღის ვადაში განიხილავს და კენჭს უყრის მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს.

პარლამენტის ნდობის მისაღებად საჭიროა პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერა. მთავრობის შემადგენლობისთვის ნდობის გამოცხადებიდან 2 დღის ვადაში პრეზიდენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, ხოლო პრემიერ-მინისტრი ასევე 2 დღის ვადაში — მთავრობის სხვა წევრებს. თუ პრეზიდენტი აღნიშნულ ვადაში არ გამოსცემს სამართლებრივ აქტს პრემიერ-მინისტრის დანიშვნის თაობაზე, პრემიერ-მინისტრი დანიშნულად ჩაითვლება. ამასთან, თუკი მთავრობას პარლამენტში ნდობის გამოცხადების მხრივ პრობლემა შეექმნება და ამ მხრივ კონსტიტუციით გაწერილი ყველა პროცედურა და ვადა დაირღვევა, პრეზიდენტი დაითხოვს პარლამენტს და დანიშნავს რიგგარეშე არჩევნებს.

მივა თუ არა საქმე რიგგარეშე არჩევნების დანიშვნამდე, რამდენიმე კვირაში გამოჩნდება. ზღვარი თეორიულად ძალიან ახლოა!

ნატო გუბელაძე

როგორ გადააქციეს პარკირება ქუთაისში „ბივშტექსად"

აქვს თუ არა პირადი ინტერესი პარკირების მოსაკრებელში ქუთაისის მერს და რა კავშირშია ის ორჯერ ჩაშლილ აუქციონთან?

ქუთაისში პარკირების აუქციონი მეორედ ჩაიშალა. ამ დროს ქალაქში არსებულ ყველა პარკირების ადგილიდან დღემდე იკრიბება თანხა. ქუთაისის თვითმმართველობაში აცხადებდნენ, რომ ტენდერის ჩატარების შემდეგ პრობლემა მოგვარდებოდა, თუმცა, როგორც ცნობილი ხდება, აუქციონიც და პრობლემის მოგვარებაც გადაიდო.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპა ჩვენი სახლია"-მ ამასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა. კერძოდ, ორგანიზაციაში თვლიან, რომ ტენდერი მიზანმიმართულად ჩაშალა ქუთაისის მერის ინტერესების გამო.

გარდა ამისა, ორგანიზაციის დამფუძნებელი **გია გოქაძე** ქალაქის მერის მიერ ტელეეთერით გაკეთებულ განცხადებასაც ეხმიანება, რომელშიც შოთა მურღულია ქალაქში პარკირების აუქციონთან მიმართებაში გია გოქაძის ინტერესებზე ალაპარაკდა. „ევროპა ჩვენი სახლია"-ს დამფუძნებელმა გია გოქაძემ კი მის ბრალდებებს ასე უპასუხა: „შოთა მურღულიას ტელეკომპანია „რიონში" გამოსვლისას ეყო სითავხედე და განაცხადა, გია გოქაძის ე.წ. შესაძლო ინტერესებზე პარკირების ადგილებთან დაკავშირებით. შოთა მურღულიას სითავხედეს და უუნარობას დაემატა მისი და მისი გუნდის წევრების ინტერესი ე.წ. შავ ფულთან დაკავშირებით, რაც პარკირების მოსაკრებელს უკავშირდება. სად მიდის ეს პარკირებიდან აკრეფილი უკონტროლო ფული დღეს, თუ არა მერის და მისი გარემოცვის ჯიბეში?"

ორგანიზაციაში მიიჩნევენ, რომ ქუთაისის მერს აქვს პირადი ინტერესი ასევე პარკირების საქმეში. ამის დასტურია ორჯერ ჩაშლილი აუქციონი და ამ საქმის გაჯანჯლება მისი მმართველობის პერიოდში.

„დემოკრატიულ ქვეყნებში ორჯერ ჩაშლილი აუქციონი და უკონტროლო შავი ფულის მასა, გახდებოდა მერის იმპიჩმენტის პროცედურის დასაწყისი," — აცხადებს „ევროპა ჩვენი სახლია".

ქალაქში არსებულ 274 პარკირების ადგილზე მერიამ ბოლო წლის განმავლობაში აუქციონი ერთ ლოტად მეორედ გამოაცხადა. ლოტის ღირებულება 660 000 ლარი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ მოსაკრებლის მომგროვებელ ფირმებსა და მერიას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას დიდი ხანია, ვადა გაუვიდა, ქალაქში პარკირების ადგილებიდან თანხის მოკრება არ შეწყვეტილა.

„ევროპა ჩვენი სახლია"-ს თავმჯდომარე ამ თემასთან დაკავშირდებით სხვა ქვედინებებზეც საუბრობს. **იგი ქუთაისის მერსა და „პატრიოტთა ალიანსის" ქუთაისის ორგანიზაციის ლიდერს ფარულ გარიგებაში ადანაშაულებს.** მორიგ ბრიფინგზე „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში" გია გოქაძემ პარკირებისათვის გამოცხადებული ტენდერის ჩაშლაში ქუთაისის მერი შოთა მურღულია ისევ დაადანაშაულა და მიანიშნა, რომ ეს არის მურღულიასა და „პატრიოტ" გოჩა თევდორაძის გარიგების შედეგი.

გოქაძე აცხადებს, რომ თავის დროზე ქუთაისის მერად შოთა მურღულიას „მოვლინებისათვის" შედგა გარიგება, რის გამოც ქალაქში პარკირებისათვის გამოცხადებული ტენდერი ზედიზედ მეორედ ჩაიშალა.

„რატომ ჩაიშალა პარკირების აუქციონი ქუთაისში ორჯერ? 660000 ლარი მიუღებელი აღმოჩნდა ამ ბიზნესით დაინტერესებულთათვის? არა, ეს ბიზნესი არ არის წამგებიანი. მაგრამ ამ ეკონომიკურ ინტერესს აფერხებს პოლიტიკური ინტერესი, რომელიც თითქმის ორი წლის წინ იღებს სათავეს.

2013 წლის 21 ნოემბერს ქუთაისს მერად „მოვლინა" შოთა მურღულია, რაშიც ლომის წვლილი მაშინდელი საკრებულოს იმ წევრებმა შეიტანეს, რომელთაც გოჩა თევდორაძე მფარველობდა.

შედგა გარიგება — რაღაცა რაღაცის სანაცვლოდ და არა ლამაზი თვალებისთვის. ანუ „ბიფშტექსის" რა ნაწილი შეხვდებოდათ. ეს „ბიფშტექსი" აღმოჩნდა პარკირებაც და სხვა გასაყოფებიც. იმისთვის, რომ შოთა მურღულია ამ საქმეში „სუფთა" გამოსულიყო, საჭირო იყო ე.წ. „სანდო კაცი" ორივე მხარისთვის. ასეთი „სანდო კაცი" აღმოჩნდა ვიცე-მერი ნოდარ მიქიაშვილი, მეტსახელად „კაცი შუამავლის გარეშე".

ეს გარიგება დღესაც მუშაობს და ხვალ თუ „წარმატებით" მოინდომეს აუქციონის ჩატარება, აქაც ესენი იქნებიან, სხვისი გვარ-სახელებით. დანარჩენი დაპირისპირება მურღულიას კლანსა და გოჩა თევდორაძის კლანს შორის არის მხოლოდ ბრიყვთათვის.

„ქართული ოცნება", „პატრიოტთა ალიანსი" და „დემოკრატიული საქართველო" არიან ის პოლიტიკური ძალები ქუთაისში, რომელთა შორის ხდება ყველაფრის გადანაწილება, რისი გადანაწილებაც შეიძლება," — აცხადებს გია გოქაძე.

ორჯერ ჩაშლილი ტენდერის შემდეგ საეჭვო გარიგებებზე მიანიშნებს „საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ცენტრის" ხელმძღვანელი სულხან ქობულაძეც. მისი აზრით, პარკირებასთან დაკავშრებული პროცესებიდან ჩანს, რომ ბიუჯეტში შესატანი თანხა ან გაბერილია, ან ვიღაცები უცდიან თანხის „დაგდებას", რათა უფრო იაფად ჩაიგდონ ხელში მომგებიანი ლოტი. ქობულაძე ქალაქის მერს ურჩევს, თავად მერიაში შექმნას სამსახური, რითიც ამ საქმიანობით მიღებული მოგება ქალაქის ბიუჯეტს შეავსებს და ეს უკეთესი გამოსავალი იქნება.

„წინა წლებში პარკირებიდან შემოსავალი 50-55 ათასი ლარი იყო. მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერის მიხედვით კი — გამარჯვებულმა 660 ათასი ლარი უნდა შემოიტანოს ბიუჯეტში. თუ ეს გათვლები სწორია, გამოდის, რომ გამარჯვებული ფირმის ყოველწლიური მოგება რამდენჯერმე მეტია ბიუჯეტში შემოსატან თანხაზე.

მივმართავ ქალაქის მერს, ბატონ შოთა მურღულიას, თუ თქვენი გათვლები მართალია, შექმენით მერიაში შესაბამისი სამსახური, ქუთაისს დოტაციური ბიუჯეტი აქვს და დღეს ეს საკმაოდ წაადგებოდა ქალაქს. იმედია, ტენდერი, რომელიც გამოაცხადეთ რეალურია და რატომ უნდა თქვას ქალაქმა ასეთ შემოსავალზე უარი? მით უფრო, ორჯერ ჩატარებული ტენდერის ჩავარდნა იმაზე მიანიშნებს, რომ ბიუჯეტში შესატანი თანხა ან გაბერილია, ან ვიღაცები უცდიან თანხის დაგდებას."— ამბობს სულხან ქობულაძე.

ასეთი შეფასებების, რჩევებისა და ეჭვების ფონზე, ქუთაისის თვითმმართველობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების საერთო და სპეციალურ ადგილებზე ტენდერს უკვე მესამედ აცხადებს.

გაია ნანიკაშვილი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

C ჰეპატიტის ელიმინაცია

საქართველო C ჰეპატიტის გარეშე!

რას მოიცავს C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის პირველი ეტაპის ღონისძიებები?

პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს:

ა) C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკას: 1) მკურნალობაში ჩართვამდე; 2) მკურნალობის პროცესის მონიტორინგისთვის აუცილებელი კვლევების ჩატარებას.

ბ) C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა მკურნალობას C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებით.

ვის შეუძლია ისარგებლოს დიაგნოსტიკის კომპონენტით?

საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც ჩატარებული აქვს კვლევა C ჰეპატიტის ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრის მიზნით სწრაფი/მარტივი ან/და იმუნოფერმენტული ანალიზის (იფა) მეთოდით და მიღებული აქვს დადებითი პასუხი, შეუძლია პროგრამის ფარგლებში ჩაიტაროს მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი სხვა კვლევები.

რომელი კვლევები ტარდება პროგრამის ფარგლებში მკურნალობაში ჩართვამდე?

მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი სხვა კვლევები ტარდება შემდეგი პრინციპით:

- ექიმთან ვიზიტი;
- სისხლში HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრა PCR მეთოდით;
- HCV რნმ დადებითი შედეგის მქონე პაციენტებს უტარდებათ სისხლის საერთო ანალიზი, ღვიძლის ფუნქციური სინჯები (ALT, AST კვლევები) და ღვიძლის ფიბროზის ხარისხის განსაზღვრა FIB-4 ტესტის დათვლით;
- იმ შემთხვევაში, თუ FIB4 ქულა არის 1.45 - 3.25 მაჩვენებლებს შორის, პაციენტებს დამატებით უტარდებათ ღვიძლის ელასტოგრაფია;

ღვიძლის ფიბროზის F3, F3-F4 და F4 ხარისხის მქონე პაციენტებს უტარდებათ შემდეგი გამოკვლევები:

- HCV გენეტიკური ტიპის განსაზღვრა PCR მეთოდით;
- HBsAg, Anti-HBs, G-GT, ტუტე ფოსფატაზა, ბილირუბინი (პირდაპირი და საერთო), კრეატინინი, გლუკოზა, ალბუმინი, INR, ANA, TSH, მუცლის ღრუს ულტრაბგერითი გამოკვლევა;
- პაციენტებს, HCV ინფექციის კლინიკურად მნიშვნელოვანი ექსტრაჰეპატური გამოვლინებებით უტარდებათ ქვეკომპონენტით გათვალისწინებული ყველა კვლევა.

მკურნალობაში ჩართვამდე პროგრამით გათვალისწინებული სერვისით სარგებლობისთვის:

პაციენტმა უნდა მიმართოს პროგრამის მიმწოდებელ დაწესებულებას (სურვილის შესაბამისად). შერჩევის შემდეგ სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების სია გამოქვეყნდება სამინისტროს ვებ გვერდზე www.moh.gov.ge. ასევე, დამატებით ინფორმაციას მიიღებთ ცხელ ხაზზე – 1505.

რას გულისხმობს მკურნალობის კომპონენტი?

მკურნალობის კომპონენტი გულისხმობს C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებით, კერძოდ, ა) სოფოსბუვირით, ბ) პეგილირებული ინტერფერონითა და გ) რიბავირინით უზრუნველყოფას.

ვის შეუძლია ისარგებლოს მკურნალობის კომპონენტით?

მკურნალობის კომპონენტით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მქონე პირებს, პროგრამაში პაციენტთა ჩართვის კრიტერიუმების გათვალისწინებით.

მკურნალობის კომპონენტით სარგებლობისთვის:

ა) პაციენტი უნდა დარეგისტრირდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში (თბილისში: სამინისტროს მისაღებში ან სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ ცენტრებში. რეგიონებში – რეგიონულ ცენტრებში), სადაც პაციენტმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა წარადგინოს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა – ფორმა NIV-100/ა (დედანი), მკურნალობაში ჩართვის წინ ჩატარებული კვლევების დოკუმენტები (დასაშვებია მხოლოდ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში შესაბამისი საქმიანობის უფლების მქონე დაწესებულებებში ჩატარებული კვლევების წარმოდგენა), პირადობის მოწმობის ასლი და შავსოს შესაბამისი ფორმის განაცხადი. ამასთან, პაციენტი ირჩევს სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებას, სადაც სურს მომსახურების მიღება.

ბ) დარეგისტრირებული პაციენტის დოკუმენტაცია განიხილება კომისიურად და დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, გაიცემა თანხმობის წერილი;

გ) პაციენტმა მკურნალობის დასაწყებად თანხმობის წერილის მიღებიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში უნდა მიმართოს შესაბამის დაწესებულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თანხმობის წერილი ჩაითვლება გაუქმებულად.

რა მოთხოვნები არსებობს ფორმა NIV-100/ა მიმართ?

- ფორმა NIV-100/ა გაცემული უნდა იყოს სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულების მიერ და მოიცავდეს ინფორმაციას ჩატარებული კვლევების, მათი შედეგების, ასევე, დანიშნულების (მედიკამენტებისა და დოზირებების მითითებით) და მკურნალობის კურსის ხანგრძლივობის შესახებ.
- ფორმა NIV-100/ა-ს თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დიაგნოსტიკური კვლევები (ჩატარების თარიღების და შედეგების მითითებით): HCV რნმ-ის რაოდენობრივი, გენეტიკური ტიპი, ღვიძლის ფიბროზის ხარისხის კვლევები, ასევე, სისხლის საერთო ანალიზი, ALT, AST, HBsAg, Anti-HBs, G-GT, ტუტე ფოსფატაზა, ბილირუბინი (პირდაპირი და საერთო), კრეატინინი, გლუკოზა, ალბუმინი, INR, ANA, TSH, მუცლის ღრუს ულტრაბგერითი გამოკვლევა.
- მკურნალობაში ჩასართავად საჭირო კვლევების (გარდა გენეტიკური ტიპისა) ვალიდური ვადები შეადგენს არაუმეტეს 3 თვეს.

პაციენტთა ჩართვის კრიტერიუმები:

- მკურნალობის პოტენციური კანდიდატია ყველა აქტიური HCV ინფექციით პაციენტი, ვისაც მკურნალობის სურვილი აქვს და არ აქვს C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებზე უკუჩვენებები. კერძოდ პაციენტები, რომელთაც არასდროს არ ჩატარებიათ ანტივირუსული მკურნალობა და პაციენტები, რომელთაც ჩაუტარდათ ანტივირუსული მკურნალობა, მაგრამ იგი იყო წარუმატებელი.
- ანტივირუსული მკურნალობის დაწყებისა და პაციენტების შერჩევისას პრიორიტეტულია შემდეგ ჯგუფები:
  - პაციენტები, ღვიძლის კომპენსირებული ციროზით (F4);
  - პაციენტები, ღვიძლის შორსწასული ფიბროზით (F3);
  - პაციენტები, ღვიძლის დეკომპენსირებული ციროზით (ღვიძლის ტრანსპლანტაციის კანდიდატები);
  - პაციენტები, ღვიძლის ტრანსპლანტაციით და HCV რეინფექციით;
  - პაციენტები, HCV ინფექციის კლინიკურად მნიშვნელოვანი ექსტრაჰეპატური გამოვლინებებით;
  - პაციენტები, აივ და/ან HBV კოინფექციით.

სად და როგორ მოხდება მედიკამენტების გაცემა პაციენტებზე?

- პაციენტის მკურნალობაში ჩართვა სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებაში ხორციელდება პაციენტის მიერ თანხმობის წერილის და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენის შემთხვევაში.
- სერვისის მიმწოდებელი პაციენტზე პეგილირებულ ინტერფერონს და რიბავირინს გასცემს სამკურნალო სქემის შესაბამისი რაოდენობით (არაუმეტეს ერთი თვის მარაგისა);
- სერვისის მიმწოდებელი სოფოსბუვირს გასცემს ერთი ფლაკონის (28 ტაბლეტიანი) ოდენობით. **სავალდებულოა: ფლაკონი გაიხსნას ადგილზე და პირველი აბი პაციენტმა მიიღოს სამედიცინო პერსონალის თანდასწრებით, კამერის მეთვალყურეობის ქვეშ.** პაციენტს გადაეცემა ფლაკონი, რომელშიც არის 27 ტაბლეტი სოფოსბუვირი.
- სერვისის მიმწოდებელ დაწესებულებაში მედიკამენტი გაიცემა ყოველდღე.

რა პირობები უნდა დაიცვას პაციენტმა მკურნალობის პროცესში:

პაციენტისთვის სავალდებულოა:

- მკურნალობის პროცესში, ყოველი მეორე კვირის ბოლოს, მედიკამენტის ფლაკონის წარმოდგენა სერვისის მიმწოდებელთან და კამერის წინ ფლაკონის, ბარ-კოდის და ფლაკონში მედიკამენტის დარჩენილი რაოდენობის დაფიქსირება;
- მედიკამენტის მომდევნო ფლაკონის მისაღებად ცარიელი წინა ფლაკონის ჩაბარება.

პაციენტისთვის დაუშვებელია:

- პროგრამის ფარგლებში მიღებული მედიკამენტის რეალიზაცია/გაყიდვა/დათმობა პროგრამის არამონაწილე ბენეფიციარზე;
- მედიკამენტის, ან მისი შეფუთვის (კოლოფის, ფლაკონის, ბარ-კოდის სტიკერის) დაზიანება, გაყალბება, გაყალბების მცდელობა.

- **პაციენტზე მედიკამენტების გაცემისას გამონაკლისი შემთხვევები განიხილება ინდივიდუალურ რეჟიმში კომისიის მიერ.**
- **მკურნალობის რეჟიმის და სავალდებულო პირობების დარღვევის დაფიქსირების, ასევე, მკურნალობის მეოთხე კვირის ვადაზე HCV RNA შეუსაბამო/საეჭვო მაჩვენებლის დაფიქსირების შემთხვევაში, პაციენტზე მედიკამენტის გაცემის წესი შეიცვლება და განხორციელდება DOT პრინციპით, ყოველდღიურად სერვისის მიმწოდებელთან, სამედიცინო პერსონალის და ვიდეოკამერის მეთვალყურეობის ქვეშ.**

რას გულისხმობს მკურნალობის მონიტორინგი?

მკურნალობის მონიტორინგი გულისხმობს დადგენილი პერიოდულობით, მკურნალობის პროცესის მონიტორინგისთვის აუცილებელი შემდეგი კვლევების ჩატარების უზრუნველყოფას:

- ექიმთან ვიზიტი;
- სისხლში HCV რნმ-ის რაოდენობრივი განსაზღვრა PCR მეთოდით;
- სისხლის საერთო ანალიზი, ღვიძლის ფუნქციური სინჯების (ALT, AST კვლევები), ბილირუბინის (პირდაპირი და საერთო), კრეატინინის, TSH განსაზღვრა;
- მკურნალობის პროცესში ექიმის მიერ ხორციელდება დეპრესიის მონიტორინგი, მკურნალობის რეჟიმის დაცვის კონტროლი და გვერდითი ეფექტების მონიტორინგი.

დიაგნოსტიკის კომპონენტით გათვალისწინებული კვლევების დაფინანსების წესი:

დიაგნოსტიკის კომპონენტის ფარგლებში პაციენტთა მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 70%-ს. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს ,თანაგადახდა შეადგენს 30%-ს.

მკურნალობის კომპონენტით გათვალისწინებული მედიკამენტების მიღების პირობა:

მკურნალობის კომპონენტით განსაზღვრული მედიკამენტებით პროგრამის მოსარგებლეთა უზრუნველყოფა ხორციელდება უსასყიდლოდ (თანაგადახდის გარეშე).

დაავადების მართვის შესახებ ინფორმაციას გაეცანით შემდეგ მისამართზე

www.hepatiti.ge

C ჰეპატიტის პროგრამაში ჩასართავად რეგისტრაცია დაიწყო

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ვალერი კვარაცხელი-ამ პრესკონფერენცია C ჰეპატიტის პროგრამაში რეგისტრაციის დეტალებზე ისაუბრა. პროგრამაში ჩასართავად პაციენტების რეგისტრაცია დაიწყო.

მოქალაქეებმა დოკუმენტაცია უნდა წარადგინონ თბილისში სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ ცენტრებსა და ცენტრალურ ოფისში, რეგიონებში კი სოციალური მომსახურების სააგენტოს სამხარეო ცენტრებში (ქუთაისი, ზუგდიდი, ოზურგეთი, თელავი, ახალციხე, გორი, რუსთავი, ამბროლაური, ბათუმი).

დოკუმენტაციაში წარმოდგენილ უნდა იყოს: პირადობის მოწმობის ასლი, ფორმა 100, ბოლო პერიოდში ჩატარებული დიაგნოსტიკური კვლევები — HCV- რნმ-ის რაოდენობრივი, გენეტიკური ტიპის, ღვიძლის ფიბროზის ხარისხის კვლევები, ასევე სისხლის საერთო ანალიზი, ALT, AST, HbsAg, anti-HBs,G-GT, ტუტე ფოსფატაზა, ბილირუბინი (პირდაპირი და საერთო), კრეატინინი, გლუკოზა, ალბუმინი, INR, ANA, TSH, მუცლის ღრუს ულტრაბგერითი გამოკვლევა. პირველ ეტაპზე პროგრამას ემსახურება 3 კლინიკა:

1. ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრი (ალ. ყაზბეგის 16),
2. „ჰეპა“ (ლუბლიანას 18/20),
3. „ნეოლაბი“ (ნუცუბიძის ქ. 8).

დოკუმენტაციისათვის საჭირო ფორმა100 პაციენტებმა სწორედ ამ კლინიკებიდან უნდა წარმოადგინონ. ეტაპობრივად, პროგრამას სხვა კლინიკებიც შემოუერთდებიან, მათ შორის – რეგიონებშიც.

პირველ ეტაპზე პროგრამაში ჩაერთვებიან პაციენტები, რომელთა ღვიძლის მდგომარეობა რთულია დააკმაყოფილებენ პროგრამის პირველ ეტაპზე ჩასართავ კრიტერიუმებს. კომისია, რომელიც განსაზღვრავს, მოხვდება თუ არა პაციენტი პროგრამის პირველ ეტაპზე, უკვე ხუთშაბათს შეიკრიბება.

საჭირო დოკუმენტაციის ნუსხა და ინფორმაცია კლინიკების შესახებ განთავსებულია ჯანდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე www.moh.gov.ge.

20 ივნისამდე ახალი ტიპის პირადობის მოწმობის აღება უფასო იქნება

საქართველოს იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის ინიციატივით, 20 აპრილიდან 20 ივნისამდე ახალი ტიპის პირადობის მოწმობის აღება უფასო იქნება.

ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 16 წელი და არ აქვს აღებული ელექტრონული პირადობის მოწმობა, შეუძლიათ მიმართონ იუსტიციის სახლის ნებისმიერ ფილიალს, საზოგადოებრივ ცენტრებსა და რეგიონულ განყოფილებებს.

როგორც სამინისტროში აცხადებენ, მოსახლეობის გაბარათიანება ხელს შეუწყობს საარჩევნო სიის დახვეწას.

justice.gov.ge

სურსათის მოხმარებისას დაზარალდით?

გსურთ ზიანის ანაზღაურება?

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი გთავაზობთ:

გაიგე რას ჭამ! მომხმარებლის უფლებების დაცვის საზოგადოებრივი მოძრაობა

— უფასო იურიდიულ კონსულტაციას;
— მეწარმესთან მოლაპარაკებაში დახმარებას;
— უფასო საადვოკატო მომსახურებას;
— აგრეთვე, სასამართლო და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურებას.

დარეკეთ ცხელ ხაზზე: **(032) 242 44 46**

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ვებგვერდს:

www.mkidveli.ge ან **www.fb.com/mkidveli.ge**

„ევროკავშირთან დაახლოების გამჭვირვალე პროცესი: სანიტარული და ფიტოსანიტარული პოლიტიკა საქართველოსა და მოლდოვაში“.

პროექტს ახორციელებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით.

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი

SWEDEN

გაიგე რას ჭამ! მომხმარებლის უფლებების დაცვის საზოგადოებრივი მოძრაობა

მომხმარებელთა დახმარების ცენტრები

დაგაეჭვათ სურსათმა, რომელსაც მოიხმართ?

- არასათანადო პირობებში იყიდება, ინახება ან გადაიზიდება;
- ვადაგასულია, ან მოხმარების ვადა გაუგებარია;
- გაფუჭებულია, დაბინძურებულია, ან სხვა მიზეზის გამო გამოუსადეგარია საკვებად;
- ეტიკეტი გაუგებარია, ან არა ხართ დარწმუნებული, რომ ის პროდუქტის შიგთავსს შეესაბამება.

მოგვმართეთ მომხმარებელთა დახმარების ცენტრებში!

ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ თქვენს მიერ აღმოჩენილი დარღვევა რაც შეიძლება სწრაფად აღმოიფხვრას.

ჩვენ დავათვალიერებთ თქვენს მიერ მითითებულ სასურსათო ობიექტს, შევიძენთ თქვენს მიერ დასახელებულ სურსათს, შევამოწმებთ მის ეტიკეტს და, შესაძლებლობის ფარგლებში, სურსათის ლაბორატორიულ შემოწმებასაც მოვახდენთ. გამოვლენილი დარღვევების შესახებ ინფორმაციას გავუგზავნით სურსათის ეროვნულ სააგენტოს, ან სხვა შესაბამის სახელმწიფო უწყებას, თავად მეწარმეებს, მედია-საშუალებებს, გამოვაქვეყნებთ ვებგვერდებზე და გავავრცელებთ სოციალური ქსელების მეშვეობით.

დარეკეთ ცხელ ხაზზე!

CSRDG

თბილისი —
ტელ.: 219 42 42;
momxmarebeli.ge;
საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

MEA

ახალციხე —
ტელ.: 551 555 267,
ელფოსტა:
mmakhaltsikhe@gmail.com,
სამედიცინო ეკოლოგიის ასოციაცია

ბილიკი

გორი —
ტელ.: 599 534 070,
598 544 053,
ელფოსტა:
mmcshidakartli@gmail.com,
საზოგადოება „ბილიკი“

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა * Greens Movement of Georgia *
Friends of the Earth Georgia

ქუთაისი —
ტელ.: 570 105 573,
ელფოსტა:
mom\marebeli.kutaisi@greens.ge,

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო

მომხმარებელთა დახმარების ცენტრები მუშაობს პროექტის ფარგლებში, რომლის სახელწოდებაა „ევროკავშირთან დაახლოების გამჭვირვალე პროცესი: სანიტარული და ფიტოსანიტარული პოლიტიკა საქართველოსა და მოლდოვაში“.

პროექტს ახორციელებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი ევროკავშირისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით.

საკონტაქტო პირი:
ლელა ბერძული, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის პროგრამის თანაშემწე.
ელ.ფოსტა: lberdzuli@epfound.ge
ტელ.: 225-39-42/43,
მისამართი: თბილისი, კავსაძის ქ. 3.

დამატებითი ინფორმაციისათვის პროექტის შესახებ, შეგიძლიათ ეწვიოთ ვებგვერდს: **www.mkidveli.ge**

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი

SWEDEN

საჰარაში ქალაქი-ცათამბჯენი აშენდება



საჰარაში ქალაქი-ცათამბჯენი „Tower of Sand“ აშენდება. realty.vesti.ru-ს ინფორმაციით, ვერტიკალური ქალაქის უნიკალური ენერგოეფექტური პროექტი საჰარას მაროკოს მონაკვეთში 10 წლის შემდეგ განხორციელდება.

პროექტის მოწონების შემთხვევაში სწორედ ეს პერიოდი დასჭირდებათ ქვეყნის მთავრობას ინვესტორების მოსამზადებელი პერიოდისთვის. იდეა ფრანგ დიზაინერებს ეკუთვნით. პროექტის თანახმად საჰარაში 450-მეტრიანი ცათამბჯენი აშენდება, რომლის ფართობი 780 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს. „Tower of Sand“-ი გააერთიანებს ოფისებს, მაღაზიებს, სასტუმროს, მუზეუმს, მეტეოროლოგიურ ობსერვატორიას, ვერტმფრენის დასაჯდომს და პანორამულ რესტორანს.
არსებული ინფორმაციით, ვერტიკალური ქალაქი ენერგოეფექტური იქნება და გეოთერმულ ენერგიაზე იმუშავებს.

აზერბაიჯანში გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შეტანა 7 წლამდე პატიმრობით დაისჯება

აზერბაიჯანის ადმინისტრაციულსამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში ცვლილებები განხორციელდა, რომელთა თანახმად, გენმოდიფიცირებული ორგანიზმების განზრახ შეტანა, გაყიდვა და გამოყენება დაისჯება 3-5 ათასამდე მანათით ან 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.
გენმოდიფიცირებული ორგანიზმების საკვებ პროდუქტებში განზრახ გამოყენებისთვის კი ფულადი ჯარიმა 4-6 ათას მანათი ან 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთა იქნება. მსხვილი მოცულობებით აღნიშნული ორგანიზმების შეტანა, გაყიდვა და მოხმარება კი 7-9 ათასი მანათით ან 5 წლამდე პატიმრობით დაისჯება.
3-დან 7 წლამდე პატიმრობა ემუქრება პირებს, რომლებიც აღნიშნულ დანაშაულებს განმეორებით ჩაიდენენ.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აქტივი“

®

საქართველო
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „აქტივი“
მის. ქუთაისი, ჭყონდიდელის 46
ტ. 568 77 46 68

Georgia
LTD „AKTIVI“

Kutaisi chkondideli str 46
T. 568 77 46 68

„4“ მარტი 2015
ლიცენზია ზ№ბაფ/051

აუდიტორული დასკვნა

აუდიტორული დასკვნა
შპს „აქტივი“

აუდიტორული დასკვნა მომზადებულია საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საბჭოს მიერ რეგისტრირებული შპს „აქტივი“-ს აუდიტორ (ლიცენზია ზ№ბაფ/051) ირაკლი რუხაძისა და ამავე ფირმის სპეციალისტის მურმან კობახიძის მიერ.

აუდიტის საგანია შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია (მისო) „სვის კრედიტი“-ს 2014 წლის 01 იანვრიდან 2015 წლის 01 იანვრამდე პერიოდის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის აუდიტორული შემოწმება. შემოწმება ჩატარდა საზოგადოების მიერ წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე. საზოგადოებაში ფინანსური ოპერაციების ძირითადი ასპექტების შემოწმება მოხდა შერჩევით.

აღრიცხვის ფაქტიური მდგომარეობის შემოწმების მიზნით წარმოდგენილი იქნა აღრიცხვის ყველა საბუთი. შემოწმდა საბიუჯეტო და სხვა ფონდების დარიცხვა, გადარიცხვის სისწორე, ხელფასები, სალარო და საკასო ოპერაციები.

შემოწმებამ ცხადყო, რომ საზოგადოებაში აღრიცხვა-ანგარიშგება წარმოდგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და აღრიცხვა მოწესრიგებულია.

ვუდასტურებთ წარდგენილ საფინანსო მაჩვენებლებს.
დასკვნა დადებითია.

შპს „,აქტივი“ -ს აუდიტორი: /ი. რუხაძე/
სპეციალისტი: /მ. კობახიძე/

მოგება ზარალის წლიური ანგარიშგება			
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
საწარმოს დასახელება: **შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია (მისო) „სვის კრედიტი“**			
ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა: **შპს**			
მისამართი: საქართელო, ქ. ქუთაისი პუშკინის ქ.№9			
საქმიანობის ტიპი: **სესხები, სავალუტო და სალომბარდო მომსახურეობა**			
ზომის ერთეული: **ლარი**			
	31.12.2014		**31.12.2013**
ამონაგები	414 716,93		413 608,34
სხვა შემოსავლები	630 552,54		346 336,93
საერთო მოგება	**1 045 269,47**		**759 945,27**
შრომის ანაზღაურება	(182 253,28)		(121 036,26)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(16 411,44)		(21 327,51)
საგადასახადო ხარჯი	(250,28)		(361,94)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(722 191,46)		(485 281,16)
მთლიანი არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯები	(77 297,13)		65 480,85)
სულ ხარჯები	**(998 403,59)**		**(693 487,72)**
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	**46 865ბ88**		**66 457,55**
მოგების გადასახადი	7 029,88		9 968,63
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი	**39 836,00**		**56 488,92**

ბალანსი				
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით				
საწარმოს დასახელება: შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია (მისო) „სვის კრედიტი“				
ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა: შპს				
მისამართი: საქართველო, ქ. ქუთაისი პუშკინის ქ. №9				
საქმიანობის ტიპი: სესხები, სავალუტო და სალომბარდო მომსახურეობა				
ზომის ერთეული: ლარი				
აქტივები	**31.12.2014**		**31.12.2013**	
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	23 208,87		49 545,32	
სულ გრძელვადიანი აქტივები		**23 208,87**		**49 545,32**
მიმდინარე აქტივები				
სულ მიმდინარე აქტივები	1 087 486,66		945 621,08	
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	136 635,88		258 685,67	
გადავადებული საგადასახადო აქტივი	27 257,06		17 264,56	
სულ მიმდინარე აქტივები		**1 251 379,60**		**1 204 306,75**
სულ აქტივები		**1 274 588,47**		**1 253 852,07**
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი და რეზერვები				
საწესდებო კაპიტალი	250 000,00		250 000,00	
წინა წლების მოგებაჰზარალი	153 067,56		96 578,65	
გაცემული დივიდენდი			-	
აკუმულირებული მოგებაჰ ზარალი	39 836,00		56 488,91	
სულ კაპიტალი და რეზერვები		**442 903,56**		**403 067,56**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გადახდილი პროცენტები				
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-		-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ნასესხები ფულადი სახსრები	818 041,94		842 603,63	
დარიცხული ვალდებულებები	11 755,47		13 001,12	
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი				
საგადასახადო ვალდებულებები	1 887,50		12 444,32	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		831 684,91		868 049,07
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**1 274 588,47**		**1 271 116,63**

წარმატებული სკოლა ქალაქის გარეუბნიდან

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ავტოქარხნის დასახლება ქუთაისის ახალ და უკვე კარგად განვითარებულ უბანს წარმოადგენდა, თავისი საქალაქო ინფრასტრუქტურით. დასახლება ყოველწლიურად ფართოვდებოდა, იხსნებოდა ახალი საბავშვო ბაღები, სკოლები, კვებისა და სავაჭრო ობიექტები...

მიხეილ გიორგაძე

1962 წელს, მე-14 რუსულ საშუალო სკოლას გამოეყო ქართული განყოფილება, რომლისთვისაც აშენდა ახალი, თანამედროვე სასწავლო კორპუსი. ეს იყო პირველი ქართული სკოლა ავტოქარხნის დასახლებაში, რომლის რიგითი ნომერი გახდა 30.

30-ე სკოლის პირველი დირექტორი იყო **იულონ ხურციძე,** რომლის თაოსნობით სკოლამ მალევე მოიპოვა ავტორიტეტი და ქალაქის მოწინავე სკოლების რიგში ჩადგა. მერე კი, ათწლეულების მანძილზე აქ მოღვაწეობდა ლეგენდარული დირექტორი, ქალბატონი **ლამარა ლევიძე**.

ავთანდილ ლომსიანიძის და **თამაზ ციბაძის** დირექტორობის პერიოდიც კარგად ახსოვთ აქ.

30-ე საჯარო სკოლის აწმყოზე, მიღწევებსა და პრობლემებზე გვესაუბრა დირექტორი **მიხეილ გიორგაძე:**

— დავიწყებ იმით, რომ მეც ამ სკოლის კურსდამთავრებული ვარ. ქალბატონი ლამარა ლევიძის დროს მომიწია აქ სწავლამ და იმ პერიოდში არამხოლოდ ავტოქარხნის დასახლებაში, მთელს ქუთაისშიც ძლიერ სკოლად ითვლებოდა ჩვენი სკოლა — ეს იქნებოდა სასწავლო, შემოქმედებითი ოლიმპიადები, მაღალი აკადემიური მოსწრება, სკოლის იერსახე, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, თუ ძლიერი, მაღალკვალიფიციური პედაგოგები.

შემდეგ დაიწყო ის საყოველთაო არეულობის და განუკითხაობის წლები, რამაც თავისი დაღი დაასვა 30-ე სკოლასაც. უყურადღებობის გამო მნიშვნელოვნად დაზიანდა შენობა, მოიშალა ინფრასტრუქტურა, სახურავიდან ჩამოსულმა წყალმა დააზიანა ჭერი, კედლები, იატაკი, ინვენტარი, თითქმის განადგურდა სტადიონი, დარბაზი... ყველაფერმა ერთად კი, გამოიწვია ის, რომ დაიწყო სკოლიდან მოსწავლეთა გადინება.

მე, პირადად, გავლილი მაქვს განათლების სისტემის ყველა საფეხური — ვიყავი მოსწავლე, სტუდენტი, მასწავლებელი, დირექტორის მოადგილე და ბოლოს დირექტორი.

ქუთაისის ჰუმანიტარული ლიცეუმის დირექტორის მოადგილე ვიყავი, როცა ამ სკოლაში გაჩნდა დირექტორის ვაკანსია და 2006 წელს მშობლიურ სკოლაში დავინიშნე დირექტორად. მომდევნო წელს უკვე დაიწყო დირექტორთა საკვალიფიკაციო გამოცდები და კადრების ამ გამოცდების შედეგების მიხედვით შერჩევა. მე მოვხვდი იმ 20%-ში, რომლებთაც მიეცათ სკოლის არჩევის უფლება და ბუნებრივია, ისევ ჩემი სკოლა ავირჩიე.

ეს იყო გამოწვევა — მინდა, ეს სკოლა ისევ ერთ-ერთი საუკეთესო გახდეს ქალაქში. და ეს რომ არ არის მხოლოდ ამბიცია, ამაზე ის 8 წელიც მეტყველებს, რაც უკვე გავიარეთ.

პირველ რიგში, მინდოდა დამემსხვრია ის სტერეოტიპი, რომ ქალაქის განაპირა რაიონში არ შეიძლება არსებობდეს კარგი, ძლიერი, პრესტიჟული სკოლა და რომ ასეთი სკოლები მხოლოდ ქალაქის ცენტრშია.

კარგი სკოლა ყველგან შეიძლება იყოს — ყველაზე მივარდნილ სოფელშიც კი, არათუ ქალაქის რომელიმე გარეუბანში.

მთავარია, როგორი დამოკიდებულება ექნებათ დირექტორს, პედაგოგებს, მშობლებს, მოსწავლეებს. ეს დამოკიდებულება უნდა იყოს ჯანსაღი, გონივრული და მიუღწეველი არაფერია.

მე ვარ განათლების და მეცნიერების სამინისტროს პოლიტიკის გამტარებელი სკოლაში, რეფორმის, სიახლეების უშუალოდ მოსწავლეებამდე და მასწავლებლებამდე მიმტანი, რომ ამ რეფორმებმა და მცდელობებმა უშედეგოდ არ ჩაიაროს.

მოვედი თუ არა, მაშინვე დავიწყე იმაზე ფიქრი, რა იყო სკოლის მთავარი პრობლემები და როგორ უნდა გვეშველა მათთვის.

უპირველესი ამ პრობლემათაგან იყო კონტიგენტის გადინება. დაწყებითი საფეხურის შემდეგ ბავშვები მშობლებს ქალაქის სხვა, მეტნაკლებად პრესტიჟულ სკოლებში გადაჰყავდათ. 680-მდე მოსწავლე დამხვდა. ყველა მათგანის მშობელს სათითაოდ შევხვდი და ვესაუბრე, რა სურდათ, რა პრობლემებს ხედავდნენ, რა მოლოდინები ჰქონდათ. შემდეგ გავაკეთე ამ შეხვედრების ანალიზი და შევადგინე პრობლემათა ნუსხა, რომელთაგან უმთავრესი აღმოჩნდა სუსტი დისციპლინა, სწავლების ხარისხი და სკოლის ცუდი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

შესაბამისად, დავიწყეთ ამ პრობლემების მოგვარება, ეტაპობრივად. დისციპლინის და სწავლების ხარისხის ამაღლება პირველივე თვეებში გახდა შესამჩნევი. ნელ-ნელა შენობასაც მივხედეთ, გარემონტდა ყველა ოთახი, მოწესრიგდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სათანადოდ აღიჭურვა კლასები, კაბინეტები, ლაბორატორიები.

დავიწყეთ მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი საკადრო ცვლილებებიც.

ამ ეტაპამდე მოსვლას დასჭირდა ეს 8 წელი. სამწუხაროდ, გარეთ ანუ ეზოში გახედვა აქამდე ვერ მოვახერხეთ. ცოტა რაღაც კი მოვაწესრიგეთ ეზოშიც, მაგრამ გარეშე თვალისთვის მაინც მოუწესრიგებელი ჩანს ჩვენი ეზო-გარემო. ახლა დავიწყეთ სტადიონის გაკეთება და ძალიან კარგი ღია სპორტული მოედანი გვექნება, მივხედავთ მწვანე ნარგავებსაც და მალე სკოლის ეზო შესაბამისი იქნება იმ პროცესებისა, რაც სკოლის შიგნით მიმდინარეობს.

სკოლის შიგნით კი მართლაც საინტერესო, მრავალფეროვანი და დატვირთული ცხოვრებაა.

„მხიარული სტარტებით" დავიწყებ. ყოველ წელს პირველ ადგილს იკავებს ჩვენი სკოლის გუნდი საქალაქო პირველობაზე, გასულ წელს კი, იმერეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავედით.

ჩვენი სკოლის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი არის „რა? სად? როდის?" ინტელექტუალური თამაშების გუნდი, რომელიც 8 წელია უკვე არსებობს და სერიოზული წარმატებები აქვს. არის ქუთაისის ჩემპიონი, იმერეთის პრიზიორი. წელს გამართულ „ინტელექტის დღეში" მესამე ადგილზე გავედით. ხშირი და ახლო კონტაქტი გვაქვს „რა? სად? როდის" თამაშების მთავარ რედაქტორთან, ლაშა კილაძესთან.

ჩემპიონია ჩვენი „კავეენის" გუნდიც.



სკოლაში მუშაობს რამდენიმე წრე: ჭადრაკის, მუსიკის, სიმღერის, ქორეოგრაფიული, რომლებიც მაქსიმალურადაა დატვირთული და, რაც მთავარია, ამ წრეებში მაღალი ხარისხის ცოდნას იღებენ ბავშვები.

მშობლებიც ძალიან კმაყოფილები არიან, რომ მათ შვილებს აღარ უწევთ სხვაგან წასვლა, ეზოგებათ ფინანსები, დრო და აქვე სწავლობენ სიმღერას, ცეკვას, ჭადრაკს, მუსიკას...

ჭადრაკში სისტემატურად გვყავს საქალაქო თუ ზონალურ ტურნირებში გამარჯვებული მოსწავლეები.

სკოლაში გვაქვს თეატრალური სტუდიაც, რომელიც ყოველწლიურად წარმოადგენს ახალ თოჯინურ სპექტაკლს. ყველაფერს ჩვენი ძალებით ვაკეთებთ — დეკორაციებს, თოჯინებს, რეჟისურას, გახმოვანებას. ავტოქარხნის დასახლების საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს ვიწვევთ ამ სპექტაკლების სანახავად.

კინო-კლუბიც კარგად მუშაობს. ადრე საკუთარი ძალებით ვაწყობდით ფილმების ჩვენებას, განხილვებს. ჩავერთეთ განათლების სამინისტროს ანალოგიურ პროექტში და ახლა იმათ თავად ჩამოაქვთ ფილმები.

აქტიურად დავდივართ ქუთაისის მესხიშვილის სახელობის თეატრში. ვესწრებით სპექტაკლებს და ვაწყობთ ამ სპექტაკლების განხილვასაც.

ჩვენ თვითონაც ვდგამთ სპექტაკლებს. გასულ წელს დათო ტურაშვილის „ევროჯორჯია" და დავით კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი" წარმოვადგინეთ. ერთმა კლასმა გააკეთა ეს სპექტაკლები, სცენარიც თვითონ დაწერეს, მსახიობებიც და რეჟისორებიც თავად იყვნენ თამუნა იოსელიანის ხელმძღვანელობით.

გვაქვს ძალიან კარგი ხელოვნების კაბინეტი. წლების მანძილზე ჩვენთან მუშაობდა მხატვარ-მოქანდაკე ზაურ წითაშვილი, რომელმაც ბევრი კარგი მხატვარი აღზარდა, მათ შორის ჩვენს სკოლაშიც და ახლა ეს მხატვრები მოღვაწეობენ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ბატონი ზაურის გარდაცვალების შემდეგ, ჩვენ მისი სახელი მივანიჭეთ ხელოვნების კაბინეტს. იქ მისი აღზრდილების ნახატებიც არის გამოფენილი.

გვაქვს ვიდეო-ლაბორატორია, სადაც ბავშვები 3-5 წუთიან ფილმებს იღებენ აქტუალურ თემებზე. თავიდან ქუთაისის განათლების, განვითარების და დასაქმების ცენტრისგან მივიღეთ ძალიან კარგი აპარატურა, ჩავერთეთ ამ ცენტრის მიერ გამოცხადებულ სასკოლო ფილმების კონკურსში და გავიმარჯვეთ კიდეც. სამოქალაქო განათლების საუკეთესო პედაგოგადაც ჩვენი სკოლის მასწავლებელი გულნარა შანიძე იქნა აღიარებული.

ამ სკოლაში, თავიდანვე, უცხო ენად ისწავლებოდა ფრანგული. მერე, როცა გაიზარდა ინგლისურ ენაზე მოთხოვნა, ფრანგული ნელ-ნელა ამოვარდა სასწავლო ცხრილიდან.

იმის გათვალისწინებით, რომ ფრანგული ევროკავშირის ერთ-ერთი ოფიციალური ენაა, გადავწყვიტეთ, რომ აღვადგინოთ ფრანგული ენის სწავლება და წელს მე-4-5 კლასების მოსწავლეთათვის მეორე უცხო ენად ჩავსვით ფრანგული ენა. კავშირი გვაქვს საფრანგეთის საელჩოსთან, ფრანგულ ინსტიტუტთან, გვამარაგებენ ლიტერატურით. ჩამოსულებიც იყვნენ ჩვენთან და ერთი სემესტრის მანძილზე ბავშვების მიერ მიღებული ცოდნით კმაყოფილები დარჩნენ. მომავალში, გაცვლით პროგრამებზეც იქნება მუშაობა.

საუკეთესო ბიბლიოთეკა გვაქვს 15 ათასამდე წიგნით, ინტერნეტით და ჩვენი მოსწავლეებისთვის ერთ-ერთი საყვარელი ადგილია ბიბლიოთეკა.

სკოლაში ყველა მოსწავლისთვის შექმნილია თანაბარი და ხელმისაწვდომი პირობები. განათლების სამინისტროს გრანტით გვაქვს სპეციალურად მოწყობილი ოთახი ინკლუზიური სწავლებისთვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთათვის. გვყავს ასეთი 5 მოსწავლე, რომელთა ადაპტირების პროცესმა სხვა მოსწავლეებთან ძალიან კარგად ჩაიარა, ისწავლეს წერა-კითხვა, მოსწავლის უნარ-ჩვევები.

ამ ყველაფრის შედეგია ის, რომ **ჩვენ გვაქვს მოსწავლეთა ნაკადის საგრძნობი ზრდა. ამჟამად, 900 მოსწავლე გვყავს სკოლაში. ახალი წესების მიხედვით, როცა პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაცია იწყება, 15 წუთში ყველა ადგილი შევსებულია ჩვენთან,** მიუხედავად იმისა, რომ ამ უბანში ბევრი კარგი სკოლაა. საერთოდ, ჩვენ, ავტოქარხნის დასახლების სკოლები: 14-ე, 24-ე, 32-ე, 34-ე, 37-ე ერთმანეთთან ჯანსაღ კონკურენციაშიც ვართ და ვმეგობრობთ კიდეც.

ძალიან ბევრი წარმატებული მოსწავლე გვყავს, რომლებიც იმარჯვებენ როგორც სახელმწიფო სასკოლო ოლომპიადებში, ასევე კერძო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ოლიმპიადებში. სწავლების დონე რომ მაღალია, ამაზე ისიც მოწმობს, რომ საატესტატო გამოცდებსაც წარმატებით აბარებენ, გასულ წელს 70 მოსწავლიდან მხოლოდ ორმა ვერ ჩააბარა თითო საგანი.

მოსწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემო, არაკონფლიქტური, მეგობრული ურთიერთობები კოლექტივში, ბევრწილად განაპირობებს იმ პატარა თუ დიდ წარმატებებს, რაც აქამდე გვაქვს და კიდევ უფრო მეტი გვექნება, რადგან მიღწეულით დაკმაყოფილება არ არის ჩემი მუშაობის სტილი. ყოველი დღე წინაზე უკეთესი უნდა გვქონდეს და დიდი იმედი მაქვს, რომ ასეც იქნება.

ირმა მარდალეიშვილი

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲠᲘ

ვერძი: არ ღირს მსხვილი საქმიანი შეხვედრების დაგეგმვა. არ არის გამორიცხული არასასიამოვნო ამბის გაგება ან არასასიამოვნო სიტუაციაში მოხვედრა. რომანტიკული განწყობილება არ მოგცემთ მოწყენის საშუალებას.

კურო: კამათი გექნებათ უფროსებთან, მაგრამ დღეები გაივლის ეფექტურად, თუკი თქვენს პოტენციალს მიმართავთ ფიზიკურ შრომაზე. მიმდინარე საქმეები იქნება მარტივი და შემოსავლიანი.

ტყუპები: დიდ დროს დაუთმობთ, საუბრებს, დისკუსიებს. ეს რთული დღეები მოითხოვს თქვენგან მობილიზებას და პროფესიონალიზმს. მოსალოდნელია შეხვედრა თქვენთვის საინტერესო პიროვნებასთან.

კირჩხიბი: ახალი საქმიანი წინადადებით მოგმართავენ, მაგრამ არ დათანხმდეთ, რადგან ეს საქმე თქვენთვის მომგებიანი არ იქნება. დღეს მიღებული გადაწყვეტილებები, სამომავლოდ დაგეხმარებათ კარიერის ზრდაში. სადაც უარია სათქმელი ნუ დაფიქრდებით, უარი მოჭრით უთხარით, ყოველგვარი იმედის დატოვების გარეშე.

ლომი: თუ აქამდე თქვენი შემოსავლით უკმაყოფილო იყავით, ნუღარ დაღონდებით, ფული თითქოს „თავისი ფეხით“ მოვა თქვენთან. ოღონდ მოულოდნელმა წარმატებამ თავბრუ არ უნდა დაგახვიოთ. თქვენ მიერ გამოთქმული თითოეული აზრი გარშემომყოფთა მოსაზრებებისგან რადიკალურად განსხვავებული იქნება და ნებისმიერი საუბარი პოლემიკაში გადაიზრდება.

ქალწული: შესაძლოა, გაგიჩნდეთ სურვილი, შეხვდეთ და ესაუბროთ ადამიანებს, რომელთა მოსაზრებები ადრე არ გაინტერესებდათ, დაიკმაყოფილეთ ცნობისმოყვარეობა. ეს განწყობილებას გაგიუმჯობესებთ. იფიქრეთ იმაზე, რომ დროულად მოაგვაროთ ფინანსური პრობლემები.

სასწორი: თავი შეიკავეთ დაპირებებისაგან, ნუ დაგეგმავთ წინასწარ ნურაფერს, ეს კვირა მოულოდნელობით იქნება აღსავსე. თქვენ ბევრი ადამიანი დაგპირდებათ მხარდაჭერას, მაგრამ სჯობს მხოლოდ საკუთარი თავის იმედად იყოთ. ყურადღებით მოუსმინეთ ადამიანებს, რომლებიც თქვენ მიმართ კრიტიკულნი არიან.

მორიელი: იდეალური დროა ხანგრძლივი პროექტების დაწყებად. საქმეში მიზანდასახული და ინდივიდუალური იყავით. წარმატება გელით შემოქმედებით საქმიანობაში. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

მშვილდოსანი: იდეალური დროა გარდერობის განსაახლებლად და სახლის ინტერიერის შესაცვლელად. ნებისმიერ საკითხში მეგობრების რჩევას ყური დაუგდეთ, მათი აზრი გაითვალისწინეთ. პირად ცხოვრებაში რადიკალურ ნაბიჯებს ერიდეთ.

თხის რქა: საშუალება მოგეცემათ, კარიერაში მნიშვნელოვანი მწვერვალები დაიპყროთ, თუმცა დროა, პირად ცხოვრებასაც მიხედოთ. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას, აუცილებლად მიდით ექიმთან და ჩაიტარეთ პროფილაქტიკური მკურნალობა.

მერწყული: ყველაზე რთულ პრობლემებსაც მარტივად მოაგვარებთ. ახლობლებსა და ნათესავებს მეტი დრო დაუთმეთ. მეგობრების წრეში დროს მხიარულად გაატარებთ. ნურც საყვარელ ადამიანს დაივიწყებთ, მასაც სჭირდება თქვენი მზრუნველობა. ეს დღეები ხელოვნებას მიუძღვენით.

თევზები: ნებისმიერი საქმიანობა და ძიება თქვენ დიდ სიამოვნებას მოგანიჭებთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა შედეგიანი იქნება.

ᲒᲐᲜᲡᲮᲕᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐᲡ ᲮᲔᲚᲡ ᲐᲠ ᲣᲨᲚᲘᲡ...

— სიცოცხლე რა არის? — კაბის კალთა ჩამომქაჩა ნინიკომ, დიდი, წყლიანი თვალები შემომანათა და ხმამაღლა მკითხა.
— შენ ხარ სიცოცხლე! — სხვა პასუხი არ მქონდა ამ კითხვაზე. ნინიკო, ქეთი, ნიკოლოზი, გიორგი, სალომე, ლიზი... ისინი სულ 22 არიან. განსხვავებულები, განსაკუთრებულები, გამორჩეულები... მარიამი, ნანო, სანდრო, თათა, ლაშა... ისინი კი — 100-ზე მეტი, ქუთაისის მეორე საჯარო სკოლის მეხუთეკლასელები. კეთილები, მხიარულები, წარმატებულები... ისინი, ყველანი, ბავშვები არიან...

ამირან ძაგნიძე, ქუთაისის მეორე საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: „აღდგომის წინა კვირაში, ჩვენმა მოსწავლეებმა სურვილი გამოთქვეს საქველმოქმედო აქციის ჩატარებისა. ბავშვების სურვილს პედაგოგებმაც მხარი აუბეს. მოსწავლეთა ერთი ნაწილი სმენადაქვეითებულ ბავშვთა სასწავლებელს ესტუმრა, საჩუქრებით ხელდამშვენებული, პატარა კონცერტიც გაუმართეს მათ.

მეორე ნაწილი, სააღდგომო ნობათით, სოციალურად შეჭირვებულ რამდენიმე ოჯახს ეწვია და დღესასწაული გაულამაზა.

დღეს კი, ჩვენი სკოლის ოთხივე მეხუთე კლასის აღსაზრდელები და მათი დამრიგებლები — **ელისო ბაღდავაძე, თამარ ჭუმბურიძე, მაკა ჯინჯიხაძე** და **მაია რუსაძე** შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დღის ცენტრს ესტუმრებიან და იქაურ პატარებსაც გაახარებენ. ჩვენ წინასწარ დავუკავშირდით ამ ცენტრის ხელმძღვანელებს და მათი რეკომენდაციით შევიძინეთ სასწავლო აქტივობებისთვის საჭირო სათამაშოები, თვალსაჩინოების მასალები.

უდიდესი წვლილი იმაში, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებმა თავი საზოგადოების სრულფასოვან წევრებად იგრძნონ, თავად საზოგადოებას ენიჭება. ბავშვის განვითარებაზე უდიდეს ზეგავლენას ახდენს გარემო, შესაბამისად, ის, თუ როგორი დამოკიდებულება აქვს საზოგადოებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მიმართ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათივე თანატოლების დამოკიდებულება, მათთან ურთიერთობა.

ჩვენს მოსწავლეებს ადრეც ჰქონიათ ასეთ ბავშვებთან შეხვედრები და მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი მათთან ერთადაც ისე თამაშობენ და ერთობიან, როგორც თავიანთ კლასელებთან, მეგობრებთან.

ჩვენ ერთ-ერთ კლასში გვყავს სპეცსაჭიროების მქონე მოსწავლე და მისი კლასელები ამ ბავშვის მიმართ სულ სიყვარულს და სითბოს გამოხატავენ.

მადლობა მინდა ვუთხრა მშობლებს, რომ მხარი დაგვიჭირეს ამ კეთილი საქმეების საკეთებლად.“

მარიამ ბაღდავაძე, მეხუთე კლასის მოსწავლე: „გვინდა, გავახაროთ ის ბავშვები, რომლებსაც ჯანმრთელობის პრობლემები აქვთ. სათამაშოები ვუყიდეთ, ფერადი ფანქრები, სახატავები. კონცერტსაც ჩავუტარებთ. მე ვიოლინოზე დავუკრავ მათთვის.“

***

სტუმრები შესამჩნევად ღელავდნენ, მაგრამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო დღის ცენტრში „**ხიდი სოციალური ინკლუზიისთვის“** ისეთი ხალისით შეეგებნენ მასპინძლები, უხერხულობა უცებ გაქრა და ბავშვებმა მალევე იპოვეს საერთო ენა. საჩუქრების დარიგებამდე ერთად იმღერეს, იცეკვეს, ითამაშეს. მერე კი ლამაზი და ფერადი საჩუქრების დარიგების პროცესმა გაახარა ყველა.

ნანო ღვინიანიძე, მეორე საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე: „მე აქამდე ბევრჯერ ვყოფილვარ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებთან, უფროსებთანაც, მათთვის მიმღერია, მათთან ერთად მითამაშია და ყოველი ასეთი შეხვედრისას მათგან დადებით ენერგიას და სიყვარულს ვიღებ. მე მიმაჩნია, რომ განსხვავებული შესაძლებლობები სულაც არ გვიშლის ხელს მეგობრობაში.“

თვალშისაცემია ის მოსიყვარულე და მზრუნველი დამოკიდებულება, რაც დღის ცენტრის თითოეულ თანამშრომელს აქვს ამ ბავშვების მიმართ, საპასუხოდაც სიყვარულს იღებენ მათგან. განსაკუთრებულად კი ცენტრის მენეჯერი, **გოჩა უგულავა** უყვართ და მის ყოველ გამოჩენას ოვაციებით ხვდებიან.

ეკა მხატვარი, „ხიდი სოციალური ინკლუზიისთვის“ ფსიქოლოგი: „პირველ რიგში, მადლობა მინდა ვუთხრა მეორე საჯარო სკოლის დირექციას, მასწავლებლებს, მოსწავლეებს, იმისთვის, რომ მათ დღეს ასეთი სიხარული აჩუქეს ჩვენი ცენტრის ბავშვებს.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები ისევე სრულფასოვნად უნდა ცხოვრობდნენ, როგორც ჩვეულებრივი ბავშვები, ამაში მათ საზოგადოებაში ინტეგრირება დაეხმარებათ, სწორედ საზოგადოებას შეუძლია გადამწყვეტი როლი ითამაშოს მათი ცხოვრების გალამაზებასა და გაუმჯობესებაში და ყოველი ასეთი სტუმრობა ჩვენს ცენტრში უდიდესი მნიშვნელობისაა.

ეს ორგანიზაცია 2012 წლიდან არსებობს ქუთაისში, მაგრამ მანამდე ვიყავით „პირველი ნაბიჯის“ ქუთაისის ფილიალი, 2014 წლიდან კი დამოუკიდებლები გავხდით და გვქვია „ხიდი სოციალური ინკლუზიისათვის“.

ცენტრში გვაქვს როგორც ადრეული ინტერვენციის პროგრამა ნულიდან 7 წლამდე ბავშვებისთვის, რომლებთანაც ინდივიდუალურად ვმუშაობთ სახლებში, საბავშვო ბაღებში, სკოლებში, ასევე დღის ცენტრის პროგრამა 6-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. ამჟამად 22 აღსაზრდელი გვყავს აქ, ისინი დილით მოდიან და 4 საათამდე რჩებიან ჩვენთან. საჩუქრები, რომლებიც დღეს მოგვიტანეს ჩვენმა სტუმრებმა მეორე სკოლიდან, დაგვეხმარება, რომ ჩვენი მეცადინეობები უფრო ხალისიანი გახდეს, რადგან მათ მალე ბეზრდებათ სათამაშოები და მათთვის ყოველი ახალი ნივთი დიდი სიხარულია.“

***

სტუმარ-მასპინძელს ერთმანეთთან დაშორება ეძნელებოდა. დაუგეგმავ სიმღერებს იმპროვიზირებული ცეკვები ცვლიდა, ცეკვებს — თამაშები, თამაშებს — ლექსები...

„როცა სიცოცხლე ასე ნავარდობს...“ — გულშიჩამწვდომად კითხულობდა ამ ცნობილ ლექსს ერთ-ერთი სტუმარი გოგონა, როცა ნინიკომ კაბის კალთაზე ჩამომქაჩა და მკითხა:

— რა არის სიცოცხლე?
— სიცოცხლე შენ ხარ!

ᲘᲠᲛᲐ ᲛᲐᲠᲓᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲕᲘᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲖᲔ?

ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲬᲘᲜᲐ ᲤᲝᲢᲝᲕᲘᲥᲢᲝᲠᲘᲜᲐᲖᲔ

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ნინო გეგეშიძემ **და ლადო** დარახველიძემ ამოიცნეს

ᲠᲐᲡ ᲓᲐᲐᲠᲥᲛᲔᲕᲓᲘᲗ?

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲜᲐᲠᲛᲐᲜᲘᲐ

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

„მიპასუხე, გიორგი, მამული ვინ არია...“

შაქრო გაბელაშვილი

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ



ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓ: 3. კაცთმოძულეობის იდეოლოგია, ჩაისახა იტალიაში; 5. ... დე ბალზაკი; 6. იბერული ხის სახლი; 8. ქალაქი ინდოეთში; 9. ... და ჯულიეტა; 11. ებრაელთა ქვეყანა.

ᲕᲔᲠᲢᲘᲙᲐᲚᲣᲠᲐᲓ: 1. სოფელი სოხუმის რაიონში; 2. ბუვიეს რომანი; 3. აშშ-ს სამხედრო თვითმფრინავის ტიპი; 4. ამ ქვეყანაშია ტაჯი-მაჰალის მავზოლეუმი; 7. ეს ქვეყანა ახლაც ორადაა გაყოფილი; 10. კედლის სანათი.

წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

ᲰᲝᲠᲘᲖᲝᲜᲢᲐᲚᲣᲠᲐᲓ: 3. ნატვრის; 5. იმამი; 6. ანი; 8. აბო; 9. ორგია; 11. აპენინი.
ᲕᲔᲠᲢᲘᲙᲐᲚᲣᲠᲐᲓ: 1. ატომი; 2. გრო; 3. ნამიბია; 4. სინდისი; 7. არმია; 10. გეა.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ

ჩასვით რიცხვები ერთიდან ცხრამდე კვადრატის 9X9 უჯრედებში ისე, რომ თითოეულ რიგში, სვეტში და ცალკე გამოყოფილ კვადრატში 3X3 ყველა რიცხვი იყოს სხვადასხვა და არც ერთი არ გამეორდეს!

5		6					7	3
			1		3	7		
8			9	7				
	2	1			7	8		
		3		3	1			
	7		2	8				5
	4		7					9
7								
1					5	4		8

სომელიეთა ასოციაციის საქველმოქმედო გამოფენა „ღვინის სააღდგომო დღესასწაული"

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შენობაში, საქართველოს სომელიეთა ასოციაციის ორგანიზებით, პირველად საქართველოში, „ღვინის სააღდგომო დღესასწაული" გაიმართა — მოეწყო სხვადასხვა თაობის მხატვრების, კერამიკოსების, მოქანდაკეებისა და გრაფიკოსების ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა თემაზე „ქართული ღვინო და აღდგომა".

საქართველოს სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტმა, ღვინის საპატიო ელჩმა, შალვა ხეცურიანმა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ღონისძიება ქართული ღვინის, როგორც ეროვნული კულტურის საგანძურის პოპულარიზაციას ემსახურება, და მის 8000 წლიან ისტორიას უკავშირდება. გამოფენას საზეიმო საღამოს სახე აქვს და ამავე დროს – საქველმოქმედო დატვირთვაც, რადგან ხელოვანთა ნამუშევრების გაყიდვიდან შემოსული თანხა გადაერიცხება საქველმოქმედო ორგანიზაციას „ბავშვი და გარემო", რომელიც მიუსაფარი ბავშვების კეთილდღეობაზე ზრუნავს.

საქართველოს სომელიეთა ასოციაციამ, ამ ღონისძიებაზე ქართული ღვინის თემატიკის ირგვლივ სამოცამდე ხელოვანი გააერთიანა, მათ შორის: ირაკლი სუთიძე, ქეთევან მატაბელი, გუგა კოტეტიშვილი, კოკა ცხვედიანი, თუთა კილაძე, ნოდარ ბადურაშვილი, გუგა კაკაბაძე, ქეთი დავლიანიძე, სოსო ჩხაიძე, სანდრო ჩხაიძე, გოგა არეშიძე, დეა სოსელია, ზურა გომელაური, ირაკლი გაბეცაძე, ლევან მარგიანი, თინა ცხადაძე, მარიკა იზორია, მაია ქაჯაია, ლეილა შელია, **მესო** არბოლიშვილი, სოსო ნადირაძე და სხვები.

ქართველ მხატვართა ნამუშევრებთან ერთად, გამოფენილი იყო აგრეთვე წმ. გიორგის სახელობის ბრიტანულ-ქართული სკოლის აღსაზრდელთა ნამუშევრები.

„ღვინის სააღდგომო დღესასწაულის" მონაწილეებს სიტყვით მიმართეს და სომელიეთა ასოციაციის კიდევ ერთ ახალ ინიციატივას მიესალმნენ: თბილისის მერი დავით ნარმანია, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ დანელია, საქართველოს პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი სამანიშვილი.

ამ ლამაზი საღამოს სასიამოვნო ემოციური დატვირთვა გააძლიერა ანსამბლ „ქართული ხმების", თითების თეატრის, ჯაზ-კვარტეტის და ბიჭუნათა ვოკალური ანსამბლის შემოქმედებამ, ყველასათვის საყვარელმა მელოდიებმა და უბერებელმა „მრავალჟამიერმა".

„ღვინის სააღდგომო დღესასწაულის" ოფიციალური მხარდამჭერები იყვნენ: თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო და „თიბისი არტ გალერეა".

ნატო გუბელაძე

<u>რჩევა</u>

სამი ყველაზე რთული კითხვა გასაუბრების დროს

გასაუბრების დროს ყველაზე რთული და გავრცელებული 3 კითხვაა. როგორ მოვემზადოთ ამ კითხვებისთვის? მიიღეთ რჩევები!

პირველი კითხვა:
მოყევით იმაზე, თუ რა შეგიძლიათ.
როცა დამსაქმებელი ამ კითხვას სვამს, მას, პირველ რიგში, აინტერესებს ის თვისებები, რომლებიც უნდა დაგეხმაროთ დავალების შესრულებაში მოცემული ვაკანსიის დროს. ისეთი თვისებების, როგორიცაა ინიციატივობა და კეთილსინდისიერება, პირველ რიგში, დასახელება არადამაჯერებელი იქნება, რადგან ამის შემოწმებას დამსაქმებელი გარკვეული დროის შემდეგ შეძლებს, ამასთან ამ თვისებებს გასაუბრების დროს ყველა ახსენებს.
დამსაქმებლისთვის მნიშვნელოვანია, თუ რა კონკრეტული უნარები გაგაჩნიათ თქვენ, რა შეგიძლიათ, ან როგორ უმკლავდებით დაკისრებულ მოვალეობებს. მაგალითად, თუ თქვენ განზრახული გაქვთ მაღაზიაში კონსულტანტად მუშაობის დაწყება, მაშინ დამსაქმებლისთვის მნიშვნელოვანია, რამდენად იოლია თქვენთვის უცნობ ადამიანებთან ურთიერთობა, გსიამოვნებთ თუ არა ეს თქვენ და გიყვართ თუ არა საქონლის გაყიდვის პროცესი. მოგწონთ თუ არა ის პროდუქტი რასაც გაყიდით, რამდენად კარგად იცით პროდუქტის თვისებები და განსაკუთრებულობა. რა თქმა უნდა, სანამ წახვალთ გასაუბრებაზე, კარგად შეისწავლეთ მათი მაღაზია და პროდუქცია, რომელსაც ისინი ყიდიან.
ანალოგიურად დგას კითხვა, თუ თქვენ აპირებთ დაიწყოთ მუშაობა მლესავად, აუცილებელია, რომ აღწეროთ, თუ რა პროცესებს იცნობთ კარგად. არ ისაუბროთ ზოგადი ფრაზებით. სცადეთ, შეეხოთ კონკრეტულ დეტალებს. აღწერეთ ამ სფეროში არსებული რომელი გავრცელებული პრობლემის მოგვარება შეგიძლიათ სხვებზე უკეთ.

მეორე კითხვა:
როგორია თქვენი სამომავლო გეგმები? თქვენი მიზნები?
არ შეიძლება არ ითქვას იმ ტიპური შეცდომების შესახებ, რომლის შესახებ გასაუბრებაზე ლაპარაკობენ. გეგმებზე, რომლებიც აბსოლუტურად არაა დაკავშირებული იმ კომპანიასთან, სადაც მოვიდნენ. მაგალითად, ადამიანი ამბობს იმას, რომ სურს მიაღწიოს წარმატებას იურისპრუდენციაში, ამ დროს კი მისულია საცხობში სამუშაოს დასაწყებად. გასაგებია, რომ ასეთი თანამშრომლის აყვანა არაპერსპექტიულია.
ან კანდიდატი მოდის სავაჭრო ორგანიზაციაში და ლაპარაკობს იმაზე, რომ უნდა ისწავლოს გაყიდვები იმისთვის, რომ დაიწყოს საკუთარი საქმე. გასაგებია, რომ დამსაქმებლისთვის არ არის საინტერესო საკუთარი კონკურენტის გაზრდა.
დამსაქმებლისთვის აუცილებელია გაიგოს, რომ თქვენ ეძებთ სწორედ ამ სამსახურს და არა მხოლოდ გარკვეული დროით გსურთ მისგან სამუშაოს მიღებას, მანამ სანამ არ იპოვით რამე უკეთესს. ანუ მასთან მისული ხართ იმისთვის, რომ იმუშაოთ მასთან ერთად და გააკეთოთ ყველაფერი, რაც საჭიროა ორგანიზაციის განვითარებისთვის.

მესამე კითხვა:
აღწერეთ თქვენი წარსული მიღწევები (კითხვა შეიძლება ეხებოდეს სამუშაოს, სწავლას და ა.შ.).
ეს კითხვა ჩვეულებრივ მიგანიშნებთ, რომ ახლოს ხართ მიზანთან. ამ შემთხვევაში ვიღებთ კითხვას, რომელიც თავისი მიმართულებით ჰგავს პირველს, თუმცა რამდენადმე განსხვავებულს.
ამჯერად, დამსაქმებელმა უნდა შეადაროს თქვენი წარსული მიღწევები იმას, რაც თქვენ წარმოადგინეთ წინა ორი კითხვის დროს. ნამდვილად შეესაბამებით თუ არა მოცემულ ვაკანსიას. თუ თქვენს მიღწევებზე საუბრისას დაიწყებთ იმაზე ლაპარაკს, რომ კარგად ცეკვავთ და ამ დროს გინდათ სტომატოლოგად მუშაობა, ეს ნამდვილად არ მოახდენს მასზე შთაბეჭდილებას. საეჭვოა, რომ ცეკვები დაგეხმაროთ ამ პროფესიაში. მას სჭირდება რამე იმის დამადასტურებელი, რომ თქვენ ხართ პროფესიულად შესაფერისი. ანუ თქვენი მიღწევები უნდა ეხებოდეს მხოლოდ იმ მოცემულ პროფესიას, რომელზეც გაქვთ პრეტენზია. თუ თქვენ გინდათ გახდეთ სტომატოლოგი, მაშინ თქვენი მიღწევა უნდა ეხებოდეს სიზუსტეს, პუნქტუალურობას, პროფესიულ განათლებას, შეიძლება ასევე კონკრეტულ საგნებსაც განათლების მიღებისას. როცა დამსაქმებელი გიღებთ თავის კოლექტივში, მისთვის მნიშვნელოვანია დეტალები.
ამგვარად, გასაუბრებამდე მოემზადეთ ამ სამი კითხვისათვის. დაწერეთ პასუხები მოცემული ვაკანსიის მაგალითზე. გააანალიზეთ. ეს არ ნიშნავს, რომ ამ კითხვების გარდა სხვა კითხვას არ დაგისვამენ, ამიტომ მოემზადეთ სხვებისთვისაც. ამის მეშვეობით თქვენ შეძლებთ ზუსტად უპასუხოთ ყველაზე მთავარ და მნიშვნელოვან კითხვებს.

jobsstaff.ge